ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დილისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 13 აპრილი, 1921 წ.

№ 34 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 34

პირველი მაისისათვის

განსაკუთრებულ საზეიმო პირობებში უხდება წელს საქართველოს მშრომელ მასსებს თავისი საერთაშორისო კლასიური დღესასწაულის უქმობა. მენშევიკური დიქტატურით, სოციალ-მუხანათების „საქმიანობით“, ბურჟუაზიულ რეაქციის და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის ბუდეთ გადაქცეული საქართველო, დღეს მშრომელთა ხელშია, და საბჭოთა რესპუბლიკათ გამოცხადებული, ჩამდგარია ასეთივე მეზობელ სახელმწიფოების რიგებში. თავის ძველ თანამებრძოლებისგან მოღალატური ხელით ოთხი წლის განმავლობაში მოწყვეტილი, ძლიერი უკანასკნელი დაკვრით ის მჭიდროთ უკავშირდება თავის კლასიურ საქმისთვის თავგანწირულ მეომართა იმ ლაშქარს, რომელთან ერთათ ოთხნახევარ ათეული წლის სივრცეზე წითელი დროშით ხელში რევოლიუციონური ყიჟინით ეგებებოდა ის პირველ მაისს. თუ როდისმე ჰქონია მას საშვალება ამ უქმის გამო კმაყოფილებით მოეხედა განვლილი გზისთვის თავის გამარჯვებების გასათვალისწინებლათ და მათ აღსანუსხავათ, დღეს უფრო მეტის უფლებით და კანონიერი სიამაყით შეუძლია მას აღნიშნოს უდიდესი გამარჯვება, რომელიც მას წილად ხვდა ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ პირველი მაისის დღესასწაული, რომელსაც უახლოვდება დღეს საქართველოს მშრომელი ხალხი საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთათ, იღებს ხასიათს განსაკუთრებული ჯერ ჩვენთვის აქ არ ნახული ზეიმისას და, ეჭვს გარეშეა, ყველა ორგანიზაციები, რომლებსაც რაიმე კავშირი აქვთ პროლეტარიატის საქმესთან, მის რევოლიუციონურ ბრძოლასთან, მის მომავალ გამარჯვებასთან, განსაკუთრებული ენერგიით შეუდგებიან წელს ამ დღის ჩატარებას. ხოლო მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობის ისტორიაში ის ჯერ კიდევ არ ნახული გაალმასებული ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბით, რომლის მოწამენი ჩვენა ვართ დღეს, როდესაც ძველი ეკონომიური რეჟიმის სისაძაგლე, მისი კაცობრიობის შემოქმედებითი განვითარებასთან შეურიგებელი წინააღმდეგობანი სრული სიტიტვლით წინ წამოიჭრა — ყოველისფერი ეს ხდის პირველ მაისს წელს უდიდეს ისტორიულ მოვლენათ. ღრმათ გამსჭვალული მომენტის სიდიადით, მისი უაღრესი მნიშვნელობით ჩვენ მოუწოდებთ ამხანაგებს პირველი მაისისათვის მოსამზადებლად.

კეთილი რჩევა

სურვილი ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, აზრის მშობელია. ამიტომ ყველა პოლიტიკოსი ყოველთვის უნდა დაეკითხოს თავის თავს და დარწმუნდეს-თვისი საკუთარი სურვილი ან შიში ხომ არ გამოაქვს ნამდვილ ფაქტებათ. სწორი პოლიტიკური ხაზის პოვნა შეიძლება, ამიტომ, მხოლოთ იმ პირობით, რომ უსასტიკესი კრიტიკა გაუწიო თავის თავს და დიდის დაწვრილებით გამოიკვლიო სიმართლე იმ ფაქტებისა, რომელთანაც გაქვს საქმე.

და თუ ამ მხრივ შევხედეთ გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტს“, იმ წამსვე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ გაზეთის ხელმძღვანელნი ნაკლებათ მისდევენ თავის თავის კრიტიკას.

ამ გაზეთის 31 ნომერში (6 აპრილი) ჩვენ ვპოულობთ გასაოცარ დამტკიცებას იმისას, რომ სოც.-ფედერალისტებს სრულებით არ მოეპოვებათ არავითარი კრიტიციზმი შესახებ თავისი თავისა და მართლაც, შესანიშნავ მაგალითს იმისას, რომ მათ წარმოდგენაში დაბადებული შიში მიაჩნიათ რეალურ ფაქტათ.

ჩვენ სახეში გვაქვს თ. ღლონტის წერილი „ფული“.

ეს წერილი დაწერილია სადღაც მიტინგზე მიღებულ ბარათის გამო, რომელშიაც არის საკითხი: „ნიშნავს თუ არა საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევას ის გარემოება, რომ საქართველოს რევკომის თანხმობით ჩვენში ჩვენს ფულთან თანაბრათ დადის სომხეთისა და აზერბაიჯანის ფული? შემდეგ ბარათი ამტკიცებს: „სომხურმა ფულმა უკანასკნელ დროს სრულიათ დაკარგა ფასი და ეხლა ამ ფას დაკარგულ ფულით სომხის ბურჟუაზია ყიდულობს საქართველოში ბევრს საქონელს და გააქვს ჩვენი ქვეყნიდან. ეს, რა თქმა უნდა, დიდი უბედურებაა საქართველოში მყოფ მუშათა და გლეხებისათვის“.

ღლონტი, მიიღო რა ეს ბარათი, შეწუხდა იმდენათ, რომ თვისი შეწუხება ბარათთან ერთად გამოფინა გაზეთის ფურცლებზე და გზა და გზა „სასტიკი“ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ამხ ნაზარეტიანი, ჩვენი ფინანსების ხელმძღვანელი. მაგრამ მთელი „კრიტიკა“ ღლონტისა ხსენებულ ბარათით ნაკარნახევი, დამყარებულია მეტათ სუსტ საფუძველზე.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ღლონტს ან სრულებით არ წაუკითხავს დეკრეტი აზერბაიჯანისა და სომხის ფულის ტრიალის შესახებ საქართველოში, ან ვერ წაუკითხავს კარგათ.

ხოლო ბარათი, წარდგენილი მიტინგზე, სჩანს კარგა დაკვირვებით შეუსწავლია და დაუდვია თავისი წერილის სარჩულათ თუმცა სრულიად არ შეუწუხებია თავი შედარებინა მისი შინაარსი სინამდვილესთან.

წერილში და ბარათშიც ნათქვამია, რომ დეკრეტით უცხოელთა ფულის ტრიალის შესახებ საქართველოში „ისარგებლებს მხოლოდ ბურჟუაზია, რომელსაც (გასულ ხანიდან) დარჩა ფული. პროლეტარიატისათვის ეს ხელსაყრელი არ არის“. ასეთი მტკიცება დამყარებულია იმაზე, რომ ღლონტის და ბარათის ავტორს (სჩანს პატარა მენშევიკია) არ წაუკითხავთ დეკრეტში, რომლის თანახმად საქართველოში ტრიალებს მხოლოდ საბჭოთა ქაღალდის ფული და არა დამნაკელებისა და მუსავატებისა. „სომხეთის ბურჟუაზია ყიდულობს ფასდაკარგულ სომხურ ფულით საქონელს საქართველოში“—აი რა აწუხებს ბარათის ავტორს და ღლონტს. მაგრამ სჯობს ორივენი დამშვიდდნენ. არავინ არ ყიდულობს საქართველოში საქონელს სომხურ ფულზე. რადგანაც ამ ფულს საქართველოში ტრიალის უფლება არა აქვს. ის სომხური ფული, რომლის ტრიალი ჩვენში ნებადართულია, ჯერ არ არის გამოცემული სომხეთის საბჭოთა მთავრობის მიერ. დეკრეტი, რომელმაც შეაწუხა ღლონტი, თუმცა მას იგი არც კი წაუკითხავს, მხოლოთ „ავანსათ“ სწყვეტდა საკითხს მომავალისთვის, რადგანაც არც ნაზარეტიანს, არც რევკომს და, გვგონია, არც ღლონტს ეჭვი არ შეპარვიათ იმის შესახებ, რომ სომხეთის გასაბჭოება აუცილებელია.

ამგვარათ დამტკიცება, რომ დეკრეტით „ისარგებლებს მხოლოდ ბურჟუაზია“, არაფერზე არ არის დაფუძნებული, რადგანაც ბურჟუაზიას ხელში აქვს გაუქმებული ქაღალდის ფული საქართველოში, და ეს ფული არ ღირს იმ ქაღალდათაც, რომელზედაც ის არის დაბეჭდილი.

ეხლა სუვერენიტეტის შესახებ. ნუ თუ ღლონტს ჰგონია, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა იზარალებს ფინანსიურ საზღვრების გაუქმებით. ნუ თუ სუვერენიტეტი, სოციალ-ფედერალისტების აზრით, დაურღვეველათ დაკავშირებულია საბაჟოებისა, ფინანსიურისა და ეკონომიური ზღუდეების არსებობასთან, რომლებიც ყოველთვის შესაფერისათ უნდა გამაგრებულ იქნას ხიშტებითა, ტყვიის მტყორცნელებითა, ხლართი-მავთულითა და სხვა საომარ ატრიბუტებით? თუ ეს ასეა, ამაოთ აცხადებს „სოციალისტ ფედერალისტი“, რომ იგი სდგას საბჭოთა პლატფორმაზე. რადგანაც ასეთი აზრები შეეფერის მხოლოთ დახავსებულ ბურჟუას და განუკურნებელ შოვინისტს. და გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტს“, მის მიხედვით, როგორც ის გამოდის უკანასკნელ ნომრებში, უფრო სამართლიანი იქნება სახელი დაერქვას „შოვინისტ-ფედერალისტი“.

საქართველოში აზერბაიჯანისა და შემდეგში სომხურ ქაღალდის ფულის ხმარება გააადვილებს მხოლოთ შინაურ გაცვლა-გამოცვლას, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობის წარმოება იქნება არა ფიქტიური ქაღალდის ფულის შემწეობით, არამედ პირდაპირ სავალიუტო საქონლის გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე, ე. ი. რესპუბლიკა პირდაპირ აწარმოებს ოპერაციებს რეალურ საფასურით. და ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა დააკმაყოფილებს ყველა ნაციონალისტსაც, რადგანაც ამით ქვეყნის სუვერენიტეტს არავითარი ზარალი არ მიადგება.

სურვილი ღლონტისა, რომელმაც ხელი ჩასჭიდა რევკომის საფინანსო პოლიტიკას, არის—ასტეხოს განგაში საქართველოს სუვერენიტეტის საკითხის გარშემო; ის წარმოიდგენს ამ გვარათ სურვილს დაიწყოს ურა-ნაციონალისტური კომპანია საბჭოთა საქართველოში. მან თავისი შიში მიიჩნია სინამდვილეთ და, ესეც არ კმარა, იგიც ისე შეცდა, როგორც ბარათის ვითომდა მუშა ავტორი, ე. ი. არ წაიკითხა დეკრეტი ამხ. ნაზარეტიანისა.

თუ გამოგონილ მუშას ეს შეცდომა უყურადღებობისა გამო ეპატიება, იგი აღარ ეპატიება ისეთ პროფესიონალურ პოლიტიკოსს, როგორც ღლონტია.

ამიტომ ჩვენ ვურჩევთ მას, როდესაც იგი კვლავ (როგორც თითონ გვპირდება) მოისურვებს „მიმართოს კბილების შემწეობას ჩვენის ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცველათ“, მიმართოს მხოლოთ მარტო საღს გონებას. კბილებს არა აქვთ უნარი თვისი კრიტიკისა და ყურადღებისა, ამ უნარით არის დაჯილდოვებული მხოლოთ ტვინი.

და, ნუ თუ უკეთესი არ იქნება, ვიდრე უკბილო პირს დაალებდე, ცოტათი ტვინი აამუშაო?..

ფინანსისტი.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 ყრილობა

ლენინი. (გაგრძელება). მას შემდეგ, რაც ჩვენ განვიცადეთ, პრაქტიკულად დავინახეთ ყველა ეს უბედურებანი, ჩვენ ვიცით, თუ რა ძნელია მათთან ბრძოლა. საბჭოთა ხელისუფლების ორნახევარი წლის შემდეგ, ჩვენ გამოვედით მთელი ქვეყნიერების წინაშე და განვაცხადეთ კომუნისტურ ინტერნაციონალში, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია, თუ არ კომუნისტურ პარტიის საშუალებით, და მაშინ ჩვენ გვაგინებდენ ანარქისტები და სინდიკალისტები, რომელნიც ამბობდნენ: „შეხეთ, ისინი ფიქრობენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად აუცილებელია კომუნისტური პარტია“-ო, მაგრამ ჩვენ ეს განვაცხადეთ მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის წინაშე. და ამის შემდეგ ჩვენთან მოდის ხალხი „კლასიურ-შეგნებული“ და „კლასიურად შედუღებული“, რომელიც ამბობს: „სახალხო მეურნეობის მმართველობის ორგანიზაცია ეკუთვნის მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობას“ (ამხ. კოლონტაის ბროშიურა). რა არის ეს სრ. რუსეთის მწარმოებელთა ყრილობა? კიდევ უნდა დავკარგოთ დრო პარტიაში ამგვარ ოპოზიციების შესახებ? მე მგონია, რომ გვეყოფა რაც ამაზე ვიკამათეთ. ყველა ეს მჯელობანი სიტყვის და კრიტიკის თავისუფლებაზე, რომლებითაც გაჟღენთილია მთელი ბროშიურა, და რაც გამოსჭვივის „მუშურ ოპოზიციის“ ყველა სიტყვებში, შეადგენენ ცხრა მეათედს წარმოთქმული სიტყვებისას, რომელთაც არა აქვთ რაიმე აზრი—ყველა ეს არის სიტყვები და სხვა არაფერი. ამხანაგებო, ხომ საჭიროა „ვილაპარაკოთ (რა მარტო სიტყვებზე, არამედ მათი შინაარსზედაც. სიტყვებით, როგორიცაა „კრიტიკის თავისუფლება“ ჩვენ ვერ მოგვატყუებთ. როდესაც სთქვეს, რომ პარტიაში გაჩნდა ავადმყოფობის ნიშნები, ჩვენ ვამბობდით, ეს გარემოება ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისთქო. უეჭველია, რომ ავადმყოფობა არის. დაგვეხმარეთ ამ ავადმყოფობის განკურნებაში. თქვით, როგორ შეგიძლიათ მისი განკურნება? ამხანაგებო, ეხლა ოპოზიცია საჭირო არ არის. და მე მგონია, რომ პარტიულ ყრილობას მოუხდება ასეთი დასკვნის გამოტანა. უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ დადგა ოპოზიციის ასასრული, რომ ოპოზიცია საჭირო აღარ არის (ტაშის ცემა). ამ ჯგუფს თავისუფალი კრიტიკის უფლება დიდიხანია ჰქონდა. და ჩვენ გეკითხებით ეხლა, პარტიულ ყრილობაზე, რანაირია შედეგი, რანაირია თქვენი კრიტიკის შინაარსი? რა ასწავლეთ პარტიას თქვენი კრიტიკით? ჩვენ მზათა ვართ სამუშაოთ მოგიწვიოთ თქვენ შორის ის, ვინც დაახლოვებულია მართლაც კლასიურად შედუღებულ და კლასიურად მომწიფებულ მასსებთან. თუ ამხ. ოსინსკი ამაში პოლიტიკანობას დაინახავს, ის დარჩება გარიყული, მარტოდ მარტო, ხოლო სხვები ამაში დაინახვენ პარტიის წევრების მიზან-შეწონილ დახმარებას. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ, ვინც მართლა მუშათა მასსებში სცხოვრობს, დაახლოვებულია მასთან, აქვს გამოცდილება; და მათ შეუძლიანთ თავიანთი დაკვირვებანიც კომიტეტს მიაწოდონ. დეე, იმათ თავის თავს უწოდონ რაც უნდათ,—ეს სულ ერთია, თუ ისინი დაგვეხმარებიან მუშაობაში, თუ ისინი არ არიან შეპყრობილნი მაინც და მაინც ოპოზიციური ჟინით და არ იცავენ ჯგუფს და ფრაქციას.

როდესაც თვის ბროშურის იმავე გვერდზე ამხ. კოლონტაი მსხვილი ასოებით სწერს „მუშათა კლასისადმი უნდობლობაზე“—ეს იმ თემაზეა, თითქო ისინი არიან ნამდვილი „მუშური“ ოპოზიცია. იმავე ბროშურის მე-36 გვერდზე ვხვდებით ამ აზრს უფრო მკაფიოთ გამოთქმულს: „მუშური ოპოზიცია არ უნდა წავიდეს, არც შეუძლია წავიდეს დათმობაზე. ეს არ ნიშნავს განხეთქილებისაკენ მოწოდებას. არა, მისი მიზანი სხვაა: ყრილობაზე დამარცხების შემთხვევაშიც დარჩეს პარტიის შიგნით და თანდათან მტკიცედ დაიცვას თვალსაზრისი, იხსნას პარტია და მისი მოქმედების ხაზი გაასწოროს“. „ყრილობაზე დამარცხების შემთხვევაშიაც!“—ერთი შეხედეთ თუ შეიძლებოდეს, როგორ წინდახედულადაა ნათქვამი! (სიცილი). უკაცრავად, მაგრამ პირადად ჩემს თავს ნებას მივცემ დარწმუნებით განვაცხადო, რომ პარტიული ყრილობა ამას არ დაუშვებს (ტაშის ცემა).

პარტიის ხაზის გამოსწორების უფლება აქვს ყველას. თქვენ მოგეცათ ამისათვის ყველა შესაძლებლობა. ჩვენ მივეგებებით ყოველგვარ დახმარებას დემოკრატიზმის გატარების საქმეში, მაგრამ ცარიელი სიტყვებით ვერ მოგვატყუებთ, როდესაც ხალხი დატანჯულია. ჩვენ მივესალმებით ყველას, ვინც დაგვეხმარება, მაგრამ როცა ისე ლაპარაკობენ, რომ დათმობებზე არ წავლენ,—ყრილობა ამას არ დაუშვებს. ჩვენ არა გვაქვს უფლება აქ რაიმე ორჭოფობა დაუშვათ დახმარება ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, დემოკრატიზმის დაცვაში, ნამდვილად მუშურ მასსებთან უფრო მჭიდრო კავშირის დაჭერაში უთუოდ აუცილებელია. ჩვენ შესაძლებლათ მიგვაჩნია და ვალდებულნიც ვართ ამ მხრით „დათმობებზე“ წავიდეთ, და რაც არ უნდა ილაპარაკონ მათ, რომ დათმობაზე არ წავლენ. ჩვენ მაინც განვიმეორებთ, რომ წავალთ. ეს არ არის დათმობა, ეს არის დახმარება მუშათა პარტიისადმი. ამით ჩვენ ყველაფერს, რაც არის ჯანსაღი და პროლეტარული მუშურ ოპოზიციაში, პარტიულ მხარეზე გადმოვიყვანთ, დარჩებიან მხოლოდ სინდიკალისტურ სიტყვების კლასიური ავტორები (ტაშისცემა).

მოსკოვის უკანასკნელმა კონფერენციამ სთქვა: „ჩვენ გამოვკრებთ მუშურ ოპოზიციიდან იმათ, ვინც გვინდა და არა იმათ, ვინც მათ სურთ/ რადგან ჩვენ გვესაჭიროება დახმარება მუშათა მასსებთან შეკავშირებულ ადამიანებისა რომელნიც პრაქტიკულად შეგვასწავლიან ბიუროკრატიზმთან ბრძოლას“. ეს ძნელი საქმეა. მე მგონია, პარტიულმა ყრილობამ მხედველობაში უნდა მიიღოს მოსკოველ ამხანაგების გამოცდილება და იგიც შეუდგეს გამოცდას და არა მარტო ამ მუხლში, დღის წესრიგის ყველა მუხლებში ჩააბაროს გამოცდა. ბოლოს იმ ადამიანებს, რომელნიც ამბობენ, რომ „დათმობაზე არ წავლენ“ უნდა ვუთხრათ: „პარტია დათმობებზე არ მიდის. საჭიროა, რომ მუშაობა იყოს შეხმატკბილებული. ამ პოლიტიკით ჩვენ გადავარჩევთ „მუშათა ოპოზიციაში „ჯანსაღს არა ჯანსაღისაგან“ შევასწრებთ პარტიის განმტკიცების [illegible].

დააკვირდით, აქ ლაპარაკის [illegible] წარმოებას უნდა [illegible] [illegible] მიმდინარეობა გამოთქმა, [illegible]

დღეს ნომერში:

კრონშტადტის ამბოხებაში 13 აქტიურ მონაწილეთ რევ. ტრიბუნალმა დახვრეტა მიუსაჯა.

მემაღაროეების გაფიცვა ინგლისში.

მუშათა მოძრაობა გერმანიაში ფართე ხასიათს ღებულობს.

გერმანიაში საქალაქო არჩევნებში კომუნისტები იმარჯვებენ.

საფრანგეთმა ვრანგელს უარი განუცხადა არმიის შენახვაზე.

ამერიკის მთავრობას განზრახვა აქვს აღადგინოს რუსეთთან სავაჭრო ურთი-ერთობა.

ბით უნდა დახასიათდეს ეს ბოდვა, მაგრამ თავს ვინუგეშებ იმით, რომ აქ ყველა პარტიული ამხანაგებია, რომელნიც უკვე სამი წელიწადია რევოლიუციონურ მუშაობას ეწევიან, მათ წინაშე არც კი ღირს ამაზე კრიტიკა გავმართოთ. ისინი იმიტომაც სპობენ კამათს, როდესაც ასეთი სიტყვები ესმით, რომ მოსაწყენია, არასერიოზულია ლაპარაკი „მწარმოებელთა სრ. რუსეთის ყრილობაზე", რომელიც სახალხო მეურნეობას განაგებს. იქნება ეს შესაძლებელი იყოს ქვეყანაში, სადაც, თუმცა პოლიტიკური ძალა-უფლება აიღეს ხელში, მარა მუშაობას ჯერ არ შესდგომიან, ჩვენ კი მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს. და საგულისხმოა, იმავე ბროშურის 33 გვერდზე ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „მუშური ოპოზიცია არც ისეთი უვიცია, რომ ანგარიში არ გაუწიოს ტეხნიკის და ტეხნიკურად გამოწრთობილ ძალების დიად როლს". „მუშური ოპოზიციას განზრახვა არა აქვს შექ ნას სახალხო მეურნეობის მმართველობის საკუთარი ორგანოები, მწარმოებელთა ყრილობაზე არჩეულნი, და შემდეგ დავითხოვოთ სახალხო მეურნეობის საბჭონი, მთ. კომიტეტები და თეატრები. არა, იგი სულ სხვასა გულისხმობს: დაუქვემდებაროს მმართველობის ეს ტეხნიკური და აუცილებელი ცენტრები თავის ხელმძღვანელობას, მ ანდოს მას თეორიული დავალებანი, გამოიყენოს ისინი იმგვარად, როგორც თავის დროზე ფაბრიკანტები და მექარხნენი იყენებდნენ სპეციალისტ-ტეხნიკოსთა ძალებს". ამრიგად, ამხ. კოლონტაი, შლიაპნიკოვი და მათი მიმდევარი „კლასიურად შედუღებული" ხალხი, თავის აუცილებელ ხელმძღვანელობას უმორჩილებენ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, მთ. კომიტეტებს და ცენტრებს — ყველა რიკოვებს, ნოგინებს და სხ. „არარაობათ", და მისცემენ მათ რაიმე თეორიულ დავალებებს. ნუ თუ, ამხანაგებო, შესაძლებელია ამას სერიოზულად გაუწიოთ ანგარიში? თუ თქვენ მოგეპოებოდათ რაიმე თეორიული მიზნები, მათ რატომ არ აყენებდით? რისთვის გვქონდა ჩვენ გამოცხადებული დისკუსიების თავისუფლება? გამოვაცხადეთ ჩვენის არა მარტო სიტყვების გაცვლა გამოცვლისათვის. ომის დროს ვამბობდით: ჩვენ კრიტიკისათვის არა გვცალია: თუ შეცდომას ვუშვებთ—ვრანგელი გვიტევს, შეცდომას ვასწორებთ—ჩვენ ვამარცხებთ ვრანგელს. როდესაც ომი დავამთავრეთ, კივინი დაგვიწყეს: „მოგვეცით დისკუსიების თავისუფლება"-ო. როდესაც ვეკითხებით; გვითხარით, რა შეცდომები იქმნა ჩადენილი, —გვიპასუხებენ: სახალხო მეურნეობის, საბჭოების და მთ. კომიტეტების გაუქმება არ არის საჭირო, მათ უნდა მივანდოთ თეორიული დავალებანიო. რატომ ამხ. კისელიოვი, რომელიც სამთომადნო მუშების ყრილობაზე, როგორც „კლასიურად შედუღებულ მუშურ" ოპოზიციის წარმომადგენელი დარჩა უმნიშვნელო უმცირესობაში: რატომ არ გვასწავლა მან ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, როდესაც ის გლავტექსტილს ედგა სათავეში? რატომ ამხ. შლიაპნიკოვმა, ან კოლონტაიმ, როდესაც ისინი იყვნენ სახ. კომისრებად, არ გვასწავლეს ბრძოლა ბიუროკრატიზმთან? ჩვენ თვითონ ვიცით, რომ ბიუროკრატიზმმა ჩვენში რამოდენიმედ მოიდგა ფეხი, და ჩვენ, რომელთაც ამ ბიუროკრატიულ აპარატთან გვიხდება საქმის დაჭერა, ამისაგან ვიტანჯებით. ხელს ვაწერთ ქაღალდს, ხოლო როგორ მიაღწევს იგი თავის დანიშნულებას,—რანაირად შევამოწმოთ ეს, როდესაც ასეთი უშველებელი ბიუროკრატიული აპარატი გვყავს, იცით თქვენ, როგორ შეიძლება მისი შესუსტება?—ძვირფასო ამხანაგებო, კეთილ ინებეთ და გაგვიზიარეთ ამ შემთხვევაში თქვენი ცოდნა. თქვენ გაქვთ სურვილი დისკუსიისა? მაგრამ, გარდა ზოგად განცხადებათა, თქვენ არაფერს იძლევით. ამის მაგივრად, თქვენ ნამდვილ დემაგოგიას აწარმოებთ. ამხანაგებო, დაბეჯითებით გთხოვთ ეს ბროშურა წაიკითხოთ. მუშურ ოპოზიციის წინააღმდეგ უკეთესი მასალა არ შეიძლება იყოს, ვინემ ამხ. კოლონტაის ბროშურა: „მუშური ოპოზიცია". თქვენ დაინახავთ, რომ შეუძლებელია კითხვას მართლა ასე მიუდგეთ რომ ბიუროკრატიზმი არის მტკივნეული საკითხი, ამას ჩვენ ყველა ვაღიარებთ, ეს ჩვენს პარტიულ პროგრამაშიაც არის შეტანილი. მთ. კომიტეტების და ს. სამ. საბჭოების კრიტიკა ძალიან ადვილია, მაგრამ როცა თქვენ კრიტიკას ეწევით, უპარტიო მუშათა მასსებს ისე ესმით, რომ ეს ორგანიზაციები უნდა იქნან გაუქმებულნი. ამას ხელზე იხვევენ ს. რევოლიუციონერებიც. მე მიამბეს უკრაინულ ამხანაგებმა, რომ მათი კონფერენციაზე მემარცხენე რევოლიუციონერები თავიანთ წინადადებებს სწორედ ასეთ ფორმულებში აყალიბებდნენ. მუშური ოპოზიცია ამბობს: ჩვენ არ დავშლით ს. მეურნ. საბჭოებს, მხოლოდ დავუმორჩილებთ მათ ჩვენს ხელმძღვანელობასო. მწარმოებელთა სრ. რუსეთის ყრილობა დაუმორჩილებს თავის ხელმძღვანელობას სამ. საბჭოების 71 მთ. კომიტეტებს! მე გეკითხებით, ხომ არ ხუმრობენ ისინი, და შეიძლება თუ არა ასეთი ადამიანები სერიოზულ ხალხად დავსახოთ?

სწორედ ეს არის წვრილ-ბურჟუაზიული, ანარქიული სტიქია არა მარტო მუშათა წრეებში, არამედ ჩვენი პარტიის შიგნითაც, და ამის დაშვება ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია.

როდესაც სამთომადნო; მუშების მე-2 ყრილობაზე მე მიხდებოდა კამათი ამხ. ტროცკისა და კისელოვთან, ეს ორი თვალსაზრისი აშკარად მოსჩანდა. მუშური ოპოზიცია ამბობდა: ლენინი და ტროცკი შეერთდებიან. ტროცკი გამოვიდა და განაცხადა: რასაკვირველია, ჩვენ შევეერთდებით, რადგანაც პარტიის ხალხი ვართ. ვისაც არ გაეგება, რომ საჭიროა შეერთება, ის ილაშქრებს პარტიის წინააღმდეგო. მე მას მხარი დაუჭირე. რასაკვირველია, ჩვენ ამხ. ტროცკის არ ვეთანხმებოდით; როდესაც ც. კომიტეტში გაჩნდება ცოტათ თუ ბევრად თანასწორი ჯგუფები,—პარტია განსჯის, და განსჯის ისე, რომ ჩვენ გავეერთიანდებით პარტიის ნებისყოფის და ჩვენების თანახმად. აი, რა განცხადებით მივდიოდით მე და ამხ. ტროცკი სამთომადნო ყრილობაზე, და აქაც მოვედით. მუშური ოპოზიცია კი ამბობს: ჩვენ დათმობაზე არ წავალთ, მაგრამ პარტიაში დავრჩებითო. არა, ეს ნომერი არ გავა! (ტაშის ცემა). კიდევ ვიტყვი, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ყოველგვარი დახმარება მუშისა, როგორადაც არ უნდა უწოდებდეს იგი თავის თავს, თუ კი მას გულწრფელად სურს ჩვენი დახმარება, ფრიად სასურველია ეს. ამ აზრით ჩვენ „დათმობაზე" წავალთ, რანაირი გამომწვევი განცხადებები არ უნდა გაგვიკეთონ; ჩვენ დათმობაზე წავალთ, რადგან ვიცით, რა ძნელია მუშაობა. სამ. საბჭოების და მთ კომიტეტების დაშლა ჩვენ არ შეგვიძლია. როდესაც ამბობენ, რომ ჩვენ არ ვენდობით მუშათა კლასს, რომ მათ არ ვიღებთ—ეს მტკნარი სიცრუეა. ყველა ასე თუ ისე გვარიან ადმინისტრატორს მუშებიდან ჩვენ ვეძებთ და სიამოვნებით მივიღებთ. მე ვამბობდი რომ წინააღმდეგის მტკიცება—სიმართლეს მ ლებულია, რომ [illegible] გ წელში ვწყდ[illegible] დახმარებასაც კი რამოდენიმედ მაინც საქმიანი კაცისას,—მუშებისას კი ერთი სამად—ჩვენ ვიღებთ ორივე ხელებით მაგრამ ჩვენ ასეთები არ გვყავნან. ა ნიადაგზე ჩნდება ანარქია.

აქ უნდა მხარი დავუჭიროთ ბიუროკრატიზმთან ბრძოლას. ეს—ასეული ათასი ადამიანებია. რა უნდა ვუყოთ ამათ? ამაზე წერა ადვილია. თქვენ თვითონ გესმით, რას ნიშნავს საბჭოთა აპარატის დასუსტება, როდესაც ორი მილიონი რუსი საზღვარ-გარედ იმყოფება. ისინი გარეკა სამოქალაქო ომმა ჩვენ მათ გაგვაბედნიერეს იმით, რ ეხლა სხედან ბერლინსა, პარიზსა, ლო დონ ა და ყველა სატახტო-ქალაქებ გარდა ჩვენი დედა ქალაქისა. ისი იცავენ იმავე სტიქიას, რომელსაც ეწ დება წვრილი მესაკუთრე, წვრილ-ბუ ჟუაზიული სტიქია. ჩვენ გავაკეთე ყველაფერს, რის გაკეთებაც შეიძლე ოღონდ ვსძლიოთ ბიუროკრატიზმი შათა მიღების გზით, ამ მხრივ ვიხმარ ყოველგვარ პრაქტიკულ ზომებს. რამ დენიც არ უნდა უწოდოთ ამას შეუფე რებელი სიტყვა „დათმობა", როგორ აქ ეძახიან,—ეჭვი არ არის, რომ ყრი ლობის 99 პროც. იტყვის ამ ბროშური შესახებ: ჩვენ წავალთ ამის წინააღმდეგ და დავიპყრობთ ყველაფერს, რაც ჯან საღია, დადექით მუშებთან ერთად დ გვასწავლეთ, თუ როგორ ვებრძოლო ბიუროკრატიზმს, თუ ჩვენზე უკეთ იცით ისე კი ნუ გამოხვალთ, როგორც ამხ შლიაპნიკოვი.

საბჭოთა საქართველოში.

გერმანიის წარმომადგენლის განცხადება.

გერმანიის წარმომადგენელმა რაუშერმა გრუსტას თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა შემდეგი:

მე მგონია, რომ ამჟამათ დადგა მომენტი, როცა პრაქტიკული მუშაობა უნდა დაიწყოს საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირის აღსადგენად მოსამზადებელი თეორიული მუშაობა, რომელიც აუცილებელია მმართველობი ფორმის შეცვლის გამო, უკვე დამთა რებულია და ამჟამათ გამომუშავებულ მისაღები პირობები პოლიტიკურ სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად ამაში მე ზედმეტათ დავრწმუნდი რე კომის წევრებთან ხანგრძლივი თათბი რის დროს.

მათ ყველას შეგნებული აქვთ გერმა ნიასთან სავაჭრო დამოკიდებულები მოწყობის საჭიროება, რაც, რასაკვირვე

კიროვის მოხსენება

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 ყრილობისა და კრონშტადტის ამბების შესახებ.

(გაგრძელება)

დასავლეთ ევროპის და ამერიკის განწყობილება ჩვენდამი, უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, საშინლად შეიცვალა. ჩვენ—კომუნისტები, პირველ კაცებად შევიქენით მთელ ქვეყნიერებაზე. გადაშალეთ რომელიც გსურდეთ ევროპიული ან ამერიკული გაზეთი და თქვენ დაინახავთ, რა დიდ ყურადღებას აქცევენ იგინი საბჭოთა რუსეთს. ორი წლის, თუ უფრო ერთი წლის წინად კი უცხოეთის პრესის დამოკიდებულება ჩვენდამი იყო მწვავე—ირონიული. ჩვენზე მთელი საშინელებანი იბეჭდებოდა გაზეთებში—ლენინის, ტროცკის და სხვ. სურათები ბანდიტების, ქალთა და ბავშვების მაფთხობელ სახით იბეჭდებოდა... ამ ჟამად ამ მოვლენას ალაგი აღარა აქვს. გაზეთების ფურცლები ეხლა სავსეა სერიოზული წერილებით, საცა ჩვენ შეფასებული ვართ, როგორც უკვე ძლიერი, მოწყობილი სახელმწიფო, რომელსაც თამამად შეუძლიან თავისი სიტყვის სიმტკიცე და ავტორიტეტი დაადასტუროს მუშათა-გლეხთა იარაღის ძალით.

რა მიზეზი ასეთი? დამოკიდებულება ჩვენდამი გამოიცვალა იმიტომ კი არა, რომ ჩვენ თვითონ გამოვიცვალენით. ჩვენ ისეთივე „ბანდიტები" დავრჩით, როგორც დღემდის ვიყავით: ჩვენს შეურყეველ გადაწყვეტილებას ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების, მშრომელთა ყველა ექსპლოატატორების გაქურდვის შესახებ—ჩვენ ბოლომდის შევასრულებთ (ტაში). ხოლო იმპერიალისტების გული არ გაიბილებულა.

მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთ ევროპაშიც ცხოვრება ისე სა[illegible] აღარ არის, როგორც იყო, იქ [illegible] ომის [illegible], იქ სამ[illegible] ცენტრები [illegible] მილიონ [illegible] პროლეტარიატი, რომელნიც [illegible] სამშობლოსა და პურის, იქ [illegible]

მრეწველობა კრიზისს განიცდის.

მე აქ მოვიყვან მცირედ, მაგრამ დამახასიათებელ მაგალითს. იტალიაში რკინის გზის ლიანდაგი გაჰყავთ რკინა-ბეტონის შპალებზე. ის ქვეყანა, რომელიც რკინა-ბეტონიან შპალებზე იწყებს გადასვლას, დიდხანს ვერ იცოცხლებს. ჩვენში კი, ღარიბ დაქცეულ საბჭოთა რუსეთში—შპალებისა და სხვა დანარჩენ საჭიროებისათვის—ტყე რამდენიცა გსურთ მოგვეპოება. და ევროპამ ყველა ეს კარგად იცის და ყველა ამას ანგარიშს უწევს.

რასაკვირველია, ჩვენს გარშემო კვლავ მალაყებს გადადიან ყველა ესე მსოფლიო სახელმწიფოები, როგორც ეს სწარმოებდა უკანასკნელ წლებში, მაგრამ უკვე ეს ხდება სხვანაირ წესრიგით. ახლა ისინი ლამობენ დაგვარწმუნონ, რომ იმ კონტრ-რევოლიუციასთან, რომელიც ჩვენ გვებრძოდა, მათ არავითარი დამოკიდებულება ჰქონიათ, მათ არ უგზავნიათ ჩვენი მტრებისთვის რუსეთში არც ტყვიის-მფრქვევლები, არც ტანკები, არც ზარბაზნები, გარდა—მცირე რამ წამლებისა „საწყალ წამებულ რუს ხალხის ღვიძლ შვილთა, თეთრგვარდიელების საჭიროებისათვის"...

მთელი ევროპა და ამერიკა ცდილობს დაგვიკავშირდნენ სავაჭრო ხელშეკრულობით. აი ჩვენ, ჩვენებურ „ბანდიტურ კომერციით" ყველაფერს ამას ანგარიშს ვუწევთ. მაგალითად, ჩვენ მოგვაგონდა, რომ სადღაც ყოფილა კამჩატკა—ჩვენი ქვეყანა, სახელმწიფოებრივ ქონების ნუსხაში შეტანილი და აღწერილი. ამ რამდენიმე წლის გაძლიერებულ მუშაობის დროს ჩვენც ცოტათი დაგვავიწყდა კიდეც კამჩატკის არსებობა. ამერიკელები კი თურმე ამ დროს სულ უტრიალებდნენ მთელ ამ კუთხეს, გამოუკვლევიათ ის, დაუზომიათ დაწვრილებით, და ეხლა წინადადებას გვაძლევენ მათ მივცეთ ის იჯარით. ჩვენ, [illegible]

ხალხო მეურნეობის საბჭო მიაღწევდეს თვით ამ კამჩატკას,—ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობაში კომუნისტები უკვე ისხდებიან (ტაში). პრინციპიალურ თვალსაზრისით თითქოს უხერხულიცაა კამჩატკის იჯარით გაცემა, მაგრამ მეორე მხრივ რომ არ გავცეთ, ჩვენ სულ ერთია არაფერს არ ვიძენთ ამით. ჩვენ ამიტომ გადავწყვიტეთ გავცეთ ის ამერიკელებზე 66 წლის ვადით. ეს შეთანხმება კი ჩვენთვის დიდათ სასარგებლო და საჭიროა. ასეთსავე მდგომარეობაშია ციმბირის ტყეები. აუარებელი ტყეები მოგვეპოვება და ასე ადრე ვერ შეიჭრება მათ გულში სახალხო მეურნეობის საბჭო. და ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ მივსცეთ კონცესიით ინგლისელებს ნაწილი ამ ტყეებისა. დეე იმუშაონ, დეე ჩადონ თავიანთი კაპიტალი ჩვენს საბჭოთა საქმეებში და ჩვენ კი ვეცდებით ამოვწუროთ აქედან სარგებლობა ჩვენი მუშათა გლეხთა საბჭოთა რესპუბლიკისათვის. ეს კი გამოაცოცხლებს ჩვენს მრეწველობას და განამტკიცებს ჩვენს მეურნეობას.

აი ლოიდ-ჯორჯი ერთ წელიწადზე მეტია ინაზებოდა და არ უნდოდა ხელის მოწერა ჩვენს სავაჭრო ხელშეკრულებაზე, ეხლა კი ერთბაშად მოაწერა ხელი. და ეს იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპაში მომხდარ ამბებმა აიძულეს იგი გადაედგა ეს ნაბიჯი. იმპერიალისტთა შორის ყველაზე მეტ მძარცველებში, შეერთებულ შტატებში, მოხდა ცვლილებანი.

ვილსონი შესცვალა გარდინგმა, კაპიტალისტთა ერთმა ჯგუფმა შესცვალა მეორე მთავრობის სათავეში. წასვლის წინ ვილსონმა განდევნა ამერიკიდან ჩვენი წარმომადგენელი, გარდინგმა კი მიიწვია იგი ხელ ახლად და ამ ჟამად [illegible] იქ გამოსწორდა.

ინგლისელებს შეეშინდათ, ამერიკამ არ გაგვასწროსო და ლოიდ ჯორჯმა ხელშეკრულებას სასწრაფოდ მოაწერა ხელი.

ეხლა თქვენ ყური დაუგდეთ რა მოხდა ამის შემდეგ!..

[illegible] ამერიკის და ინგლისს მოსდევენ [illegible]

შით იტყობინება, რომ მისი წარმომადგენელი გამოემგზავრა რეველში, სადაც გვთხოვს გაუგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელიც. ასე გასინჯეთ, ჩინეთიც კი ძმური გრძნობებით გვიცხადებს და გვამცნობს, რომ მათ აქვთ ჩაი და, თუმცა თქვენ არაფერი არ მოგეპოებათ, მაინც ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ ვაწარმოოთ თქვენთან სავაჭრო მოლაპარაკებაო.

ჩვენ ვიცით რა ძალასაც წარმოვადგენთ და საუკეთესოდ შეგნებული გვაქვს ჩვენი სარგებლობანი. დეე ვაწარმოვოთ მოლაპარაკება ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებთან, „მიღებულ ვიქნეთ ყველა სასახლეებში" და თუ ბურჟუაზიულ საერთაშორისო რიტუალს დაჭირდა, შევქმნათ ბურჟუაზიულ მანერების შესასწავლი სკოლები.

მაგრამ ყველა ამ „უცხოელთა ჩარევას რუსეთის საქმეებში"—თან უნდა მისდევდეს ფხიზელი თვალყურის დევნა ჩვენი საგანგებო კომისარიატების და განსაკუთრებულ განყოფილებისა. ტყუილად კი არ ქადაგებენ, რომ შეიარაღებული ძალით, მუშათა გლეხთა ხელისუფლებას ვერ დაახრჩობს, რომ ამისთვის სულ სხვა ზომებია საჭირო: საბჭოთა რუსეთის გამოფიტულ სამეურნეო ორგანიზმში ბურჟუაზიული ბალზამი წვეთ-წვეთად უნდა შევუშვათ—მხოლოდ ერთი წვეთი, რათა მან არ კი გარხწნას მთელი ორგანიზმი. ეს თვალთმაქცობა ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, გარდა ამისა, ჩვენ ხელთა გვაქვს ბურჟუაზიულ ბალზამის საწინააღმდეგო შხამი—ეს არის ჩვენი 700 ათას წევრიანი კომუნისტური პარტია; მან უნდა თვალყური ადევნოს ყველა ამას. ბურჟუაზიულ ძღვნიდან ჩვენ დავიტოვებთ მხოლოდ იმას რაც ჩვენთვის სასარგებლო და საჭიროა, დანარჩენს კი უკანვე დაუბრუნებთ.

ამნაირად, რუსეთის კომუნისტურ პარტიის მეათე ყრილობამ სუფთა ხალას ევროპის კაპიტალს კი არ გაუღო კარები, არამედ კაპიტალს ყველა ჩვენი კომუნისტური დამატებებით. მაგრამ ევროპამ, რომ ჩვენთან დაიწყოს ვაჭრობა, ამისათვის საჭიროა დავხედით სრულიად მომზადებული, [illegible] და ძლიერი სახელმწიფო; ჩვენ უნდა ვემყარებოდე ისეთ შეიარაღებულ ძალაზე, რომელიც სასურველ მომენტში ხელშეკრულება იარაღით დაადასტურებდეს.

აი მოკლედ, მთავარი მომენტები საერთაშორისო და ჩვენი შინაური ეკონომიური პოლიტიკისა, რომელიც ყრილობამ მიიღო.

ჩვენი მტრები თვალთმაქცურად გაიძახიან: რაღა კომუნისტურა სახელმწიფოა იგი, თუ ასე ვაჭრობს შინაცა და გარედანაცაო.

მაგრამ მოვიგონოთ, ამხანაგებო, რა გვეუბნება ამის შესახებ, ჩვენი მოძღვრება—მარქსიზმი. იქ ვტყობილობთ რომ ნამდვილი კომუნისტური სახელმწიფო შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო მასშტაბში. მაშასადამე, ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა წარმოადგენ ოაზისს კაპიტალისტურ უდაბნოში. ჯერჯერობით კი ჩვენს მიზანს შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების ყოველ გზით განმტკიცება. ვინაიდან დადგა უსაშინლესი და დიდი კრიტიკული მომენტი, არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ მოვიქანცენით, რომ ჩვენ წელში გავწყდით უმძიმეს ტვირთის ქვეშ, რომ ზეკაცურ ძალთა მოკრებით თრთიან ჩვენი ძარღვები. დასავლეთი ევროპაც ამნაირადვე განიცდის საშინელ წუთს, იქიდან ჩვენ გვესმის გმინვა ჩვენი მშრომელი ძმებისა. და რომ არ ჩავარდეთ ახალ უღლის ქვეშ, და არ გაგრძელდეს მსოფლიო პროლეტარიატის ჩაგვრა—უნდა ვისარგებლოთ ამ წუთით, არ უნდა გავეფითრდეთ ჩვენ უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლის წინ, და უნდა ყველა ზომები მივიღოთ მუშათა გლეხთა რუსეთის განსამტკიცებლად, რომ ყველამ, ვისაც კი ეჭვი აქვს ჯერ კიდევ, დაინახოს თუ როგორ უფრო ბრწყინდება და თანდათან ცისკროვნდება ჩვენი მუშათა-გლეხთა ქვეყანა. და ამ მიზნის გულისთვის ჩვენ მზადა ვართ ვევაჭროთ, ხელშეკრულება დავიკავშიროთ ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან. რომელთანაც კი ეს საჭიროა. ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ყოველდღე საბჭოთა რესპუბლიკის სიცოცხლე უახლოებს კაპიტალიზმს სიკვდილის საათს. (საერთო ტაში).

(დასასრული შემდეგ)

ია, სასარგებლოა ორთავე მხარესთვის. ჟამად მე მოკლებული ვარ შესაძლე ობას შევჩერდე დაწვრილებით ამ მავალ სავაჭრო დამოკიდებულების რმაზე, რათა ხელი არ შეუშალო ითხის ბუნებრივ და წყნარ განვითა ბას. მე შემიძლიან ვთქვა, რომ მო პარაკება უკვე დაწყებულია და ემსა ხება, როგორც საქართველო-გერმა ს არსებულ დამოკიდებულების გან ცებას, ისე ახალ კონკრეტიულ შ იბების გამომუშავებას, სავაჭრო და მრეწველო დამოკიდებულების დასა ყებად. ამ დარგში ჩვენ დიდ წარმა ტებას მივაღწიეთ, რომელიც ამტკიცებს მ ხმების უსაფუძვლობას, რომლებიც ემთხვევით მივიღე ბერლინიდან, და ომელიც გავრცელებულია ევროპაში აქართველოში საერთო მდგომარეობის ესახებ. მე შემიძლიან გადაჭრით გან აცხადო, რომ ყველა ეს ცილისწამება, იმართული საქართველოს წინააღმდეგ ასაკვირველია, არავითარ გავლენას ი იქონიებს გერმანიის და საქართვე ლოს ურთიერთობაზე. გერმანიის ერმა ტკიცეთ გადასწყვიტა ყველა შესაძლე ობა გამოიყენოს საქართველოსთან თ მჭიდრო კავშირის დასამყარე ათ, რომელიც სასარგებლო იქნება ავ მხარესთვის.

ამერიკის დამხმარე კომიტეტი.

მერიკის დამხმარე კომიტეტის წარ მადგენელი ემანი იუწყება, რომ რიკის კომიტეტმა მიიღო ყველა მის დამოკიდებული ზომები ბათომში მოყრილი ლტოლვილთა დასახმარე ათ. ამ მიზნით მოწყობილი იყო 5 ოებითი სასადილო, რომლისგან ჟამად მოქმედებს მხოლოდ ერთი, დგან მიღებული ყველა ღონისძიება ტოლვილთა თავთავის სამუდამო საც ვრებელში დასაბრუნებლათ. ამერი ს კომიტეტმა მჭიდრო და მეგობრული რთიერთობა დაამყარა ბათომის რევ მთან, რომელმაც დაარწმუნა კომი ეტის წარმომადგენელნი მასში, რომ ევკომი დაეხმარება კომიტეტს ყველა ს საქმეში. ამასთანავე რევკომმა ნება რთო ამერიკის კომიტეტს რადიო დგურით ისარგებლოს სტამბოლთან.

ოსმალეთის გემები.

ბათომის ნავთსადგურში [illegible] ოდენიმე ოსმალეთის გემი.

ავგანის მისიის წასვლა.

ავგანის მისია გემი „ჰორონხი"-თ გაე ზავრა ტრაპიზონში. წასვლის წინ სიის წევრების მონაწილეობით მეჩე ში გაიმართა მუსულმანთა კრება.

ნავთსადგურის უფროსი.

შავი ზღვის ყველა ნავთსადგურების ფროსის ბრძანებით ც. ქ. წევრი კუ ნეცოვი დაინიშნა ბათომის სამხედრო ავთსადგურის უფროსად.

საწარმოვო კავშირები.

პროფკავშირების დროებითი ბიურო უდგა საწარმოვო კავშირების მო ბას. ყოველ კავშირში დანიშნულია ოებითი გამგეობა და პასუხისმგებე ხელმძღვანელი.

სავაჭრო საქმიანობა.

საოლქო სასურსათო კომიტეტმა სავაჭრო ხელშეკრულება დასდო ოსმალეთის მაზრებთან, რომლებმაც ანატოლიიდან უნდა მოიტანონ ფქვილი და სხვა სურსათი.

საქონლის გაცვლა გამოცვლა.

იტალიის ფირმა „პიტალუგამ" აფხაზეთის რევკომს მისცა მანუფაქტურა თამბაქოს ნაცვლად.

სახელმწიფო ბანკის და ექსპედიციის რეევაკუაცია.

დღეს გამოიგზავნა თფილისში მენშევიკების მიერ წაღებული სახელმწიფო ბანკი და სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიცია.

მიმოსვლის აღდგენა.

ბათომის რკინის გზის რაიონი, რომელიც გავსილი იყო მოძრავ შემადგენლობით, საჯავახოს ხიდის გასწორების შემდეგ, ამ უკანასკნელ სამ დღეში გაიწმინდა. მარშრუტები გაიგზავნა თფილისში და ბაქოში.

„სიკანია".

ტრაპიზონიდან იქ მოსულ იტალიის [illegible] გემის „სიკანია"-ისაგან, რომელიც დატვირთულია საქონლით საქართველოსთვის, მოვიდა შეკითხვა: შეუძლია თუ არა მას ბათომის ნავთსადგურში შესვლა. „სიკანია"-ს ხვალ მოელიან ბათომში.

„გენერალი ბრუსილოვი".

ამ ხანათ ოდესიდან მოსული გემი „გენერალ ბრუსილოვი" წავიდა ნოვოროსიისკში.

გემები ტრაპეზუნდიდან.

აპრილის 5-ს (ტელეგრამით გრუკავროსტს საქ. კორ.) საოლქო რევკომმა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისს მისცა სესხად 15 მილიონი მანეთი აჭარელთ საჭიროებისთვის. ამ თანხიდან ნაყიდი იქმნა 5 მილიონის მარილი, რომელსაც აჭარა ძალიან საჭიროებს.

მეჯლისის გაზეთი.

სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისმა შუამდგომლობა აღძრა საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემის შესახებ.

გასვლის ნებართვა.

საბჭოთა რუსეთის ნავთსადგურებზე გასვლის ნებართვის მიცემის საგანგებო განყოფილების ორგანიზაციამდე, საოლქო [illegible] გასვლის ნებართვის მიცემა.

პირველი გემი საბჭოთა ოდესიდან.

ბათომი. [illegible] აპრილი, (გრუკავროსტას საქ. კორ.) [illegible] წლის ურთი ერთობის შეწყვეტის შემდეგ ბათომში მოვიდა ოდესიდან ნოვოროსიისკზე გამოვლით რუსეთის პირველი გემი საბჭოთა დროშით „გენერალ ბრუსილოვი", ძველ შერჩენილ საბუთებით. „გენერალ ბრუსილოვი"-თ მოვიდნენ შავი ზღვის საზღვაო ძალების სარდალი იზმაილოვი, ნავთსადგურების [illegible] სარდალი პანცერჟანსკი და [illegible]. ბათომის გრუსტას წარმომადგენელთან საუბრის დროს იზმაილოვმა განაცხადა, რომ „გენერალ ბრუსილოვის" [illegible] მოსვლა დაკავშირებულია ოპერატიულ მიზნებთან. ბათომისკენ მიმავალ „გენერალ ბრუსილოვს" არ შეხვედრია გზაზე არც ერთი უცხო სახელმწიფოთა სამხედრო გემი.

მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

ცირკულიარულად.

აქართველოს სოციალისტურ საბჭოთა ესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს და წარმოებათ.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომი ეტის № 30 დადგენილების თანახ ად, შრომის სახალხო კომისარიატი წი დადებას გაძლევთ ყველა დაწესებულებებს და წარმოებათა იმ მუშებს და ოსამსახურეთ, რომელნიც აღნიშნულ ევოლიუციონურ კომიტეტის № 30 რძანების გამოქვეყნების დროს სამსახურში იმყოფებოდენ, და რომელთაც ყოფილ მენშევიკურ მთავრობისაგან არ მიუღიათ ა. წ. მარტისთვის კუთვნილი ჯამაგირი, მათ უნდა მიეცეთ დახმარების სახით ათი ათასი (10,000) მანეთი. აღნიშნული თანხის გარდა არ შეგიძ იათ გასცეთ რაიმე დახმარება, თუ უკანასკნელი გათვალისწინებული არ ქნება შრომის სახალხო კომისრის განკარგულებით. იმ პირთ, რომელთაც მი ებული აქვთ რაიმე თანხა მარტის 1-ს შემდეგ, ის ჩაეთვლებათ აღნიშნულ დახმარების ანგარიშში. თუ გაცემული თანხა აღემატება 10,000 მანეთს, მაშინ ზედმეტი ჩაეთვლება მიღებულ ავანსად და გამოერიცხება ჯამაგირიდან.

კოლეგიის წევრი [illegible]ძე.

საქმეთა მმართველი [illegible]. ბერძნიშვილი

საინფორმაციო განყოფილების გამგე ალ. ლომთაძე.

ბრძანება № 34.

სასოფლო მეურნეობის სპეციალისტთა რეგისტრაციის შესახებ.

1) საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილების თანახმად, წინადადება ეძლევა ტფილისში მყოფ ყველა სასოფლო მეურნეობის სპეციალისტებს და ტეხნიკოსებს, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი, საშუალო ან დაბალი განათლება და რომელნიც ამჟამად იმყოფებიან სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კერძო სამსახურში, ან არიან სამსახურის გარეშე, ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო მეურნეობის განყოფილებაში (ტფილისი, [illegible] დაწესებულებათა შენობა, [illegible] ქუჩა).

2) რეგისტრაციის პირველ [illegible]

ვანო მარდალეიშვილის ხსოვნას*)

არწივის ფრთებით შენ დაჰქროდი ოცნების მხარეს,
გულით გინდოდა ჩაჰკონოდი მის მთისა წვერვალს,
რომ მზის სხივებით დაგეამა ნაკოდი გული,
რომ ღირსებოდა იქ სიწყნარე შენს სულის ღელვას.
კიდევ წუთი და... შენს ოცნებას ხელს შეახებდი,
შენს ტურფა სატრფოს, საალერსოს, უძლევიდი ლექსსა,
და მზად იყავი, რომ მის გულმკერდს ჩაჰკონებოდი,
თაყვანი გეცა სატრფოსათვის და გეალერსა.
მაგრამ მტარვალნი გველებივით გეპარებოდენ,
რათა ქურდულათ მოეტაცათ შენთვის სიცოცხლე;
მწარე დაცინვით მოეწამლათ ბოლო წუთები,
მით მშრომელთათვის მიენიჭათ ტანჯვა-სიობლე.
შეუბრალებლათ ბასრ მახვილით გაგიპეს გული,
და წმინდა სისხლით საღორიას ტყე შეიღება,
ცეცხლის ალზედა, ძმაო ვანო, გაწამეს, დაგწვეს,
მით აღასრულეს საზიზღარი შურის-ძიება.
დღეს შენი ნეშთი დანაცრული ვიპოვეთ ტყეში,
დატოვებული ჭიებისთვის სახრავ საწიწკნათ,
და შევინახეთ... დარაჯათ ჰყავს ძმათ სასაფლაო,
რომ მოგონება შენზე დარჩეს ჩვენთვის გზა-ხიდათ.

10 აპრილი **სანდრო ეული.**

---

*) მენშევიკების ქუთაისიდან დახევის დროს მათმა ჯალათებმა გამოიყვანეს ციხიდან რამოდენიმე კომუნისტი, მათ შორის ვ. მარდალეიშვილი, წაიყვანეს საღორიას ტყეში და მხეცურად წამების შემდეგ გაგლიჯეს და გვამი დასწვეს.

დება 1921 წლის აპრილის 12-ტი, ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 3 საათამდე.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 10-ს.

საბჭოთა რუსეთში.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

მოსკოვი. 10 აპრილი (რადიო). სამხედრო მოქმედების შეწყვეტის და მშვიდობიან აღმშენებლობაზე გადასვლის გამო სახალხო კომისართა საბჭო ავალებს შრომის სახალხო კომისარს, რათა ერთი კვირის განმავლობაში მან მოაწყოს ადვილი გადასვლა მუშებისა და მოსამსახურეებისა ერთი სამსახურიდან მეორეზე იმ შემთხვევებში, როდესაც გადასვლას აიძულებს ოჯახის მდგომარეობა ან საწარმოვო მიზეზები, რომ ამ გადასვლამ არ შეუშალოს ხელი წარმოების განვითარებას სახალხო მეურნეობის ინტერესის მიხედვით.

დაჯილდოვების ფონდი.

მოსკოვი. 9 აპრილი. (რადიო). საბჭოთა სახალხო კომისარის დეკრეტით დადგენილია— შემოღებულ იქმნას მრეწველობის მნიშვნელოვან დარგების წარმოებებში მუშათა და მოსამსახურეთა ნატურით დაჯილდოება, რომელიც მოხდება ცალკე წარმოების ფაბრიკანტის ნაწილის გადარიცხვით. ამ გადარიცხვის რაოდენობა ცალკე წარმოებაში განისაზღვრება შრომის ნაყოფიერობის მიხედვით. ნატურით დაჯილდოების ფონდს რომელიც წარმოებაში ფაბრიკანტების გადარიცხვით შეგროვდება, ქარხნის სამმართველო გადასცემს ადგილობრივ მუშათა კოოპერატიულ კავშირებს და მოხმარდება მხოლოდ ამავე დაწესებულების მუშებს. საკითხი იმის შესახებ, გადაეცეს თუ არა კოოპერატივის ფონდი, საქარხნო, სარაიონო, საერთო საქალაქო, ან საერთო-საგუბერნიო კავშირებს, სწყდება თვით მუშათა ორგანიზაციების მიერ ადგილობრივ პირობების მიხედვით... (დასასრული დამახინჯებულია)...

მეამბოხეთა გასამართლება

პეტროგრადი, 23 მარტი (რადიო). პეტროგრადის საოლქო ტრიბუნალის სესია შეუდგა კრონშტადტის ამბოხების საქმის გარჩევას. სასამართლოს წინაშე წარდგნენ ამბოხების აქტიური 13 მონაწილე ამბოხებისა გემის „სევასტოპოლის"-ზე. დამნაშავეთ გამოუტანეს განაჩენი, რომელშიაც სხვათაშორის, ნათქვამია: „ყველა ამ პირების დანაშაულობის დამტკიცების გამო რაიც გამოიხატა მასში, რომ 2—17 მარტამდის ციხე კრონშტადტის და მასთან მდებარე ნავთსადგურებში მეამბოხეთა ჯგუფის მიერ ჩამოგდებულ იქმნა საბჭოთა მთავრობის ხელისუფლება და მასთან პასუხისმგებელი მუშები დაპატიმრებულნი იქმნენ, რომ დამნაშავენი თავის ნებით, ძალდაუტანებლივ მიემხრენ მეამბოხეებს და შეასრულეს სამხედრო დავალებები კრონშტადტის ციხის ოპერატიულ შტაბისა, რომელსაც მეთაურობდა გენერალი კოზლოვსკი. ამას გარდა ისინი აწარმოებდნენ შეიარაღებულ ბრძოლას მუშა-გლეხთა რესპუბლიკის ერთგულ ჯარების წინააღმდეგ და, მიუხედავათ საბჭოთა რესპუბლიკის მ წოდებისა რათა მათ დაეყარათ იარაღი, ისინი მაინც განაგრძობდნენ სამხედრო მოქმედებას, მიუხედავათ იმისა, რომ მათ ჰქონდათ სრული საშუალება არ მიეღოთ მონაწილეობა ამბოხებაში — მიესაჯოს დახვრეტა.

საზღვარ-გარეთ

კომუნისტების გამარჯვება.

ბერლინი. 29 მარტი. ქალაქ პალიატის არჩევნებმა გოტეში მოგვცა ასეთი შედეგი: კომუნისტებმა მიიღეს 21,339 ხმა. დამოკიდებულებმა—8000 ხმა. უმრავლესობის სოციალისტებმა—4,000 ხმა.

გერმანიაში.

რიგა. 15 მარტი. ლიტვის დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს ბერლინში მოახდინეს ცდა, რათა აეფეთქებინათ დინამიტით გამარჯვების სვეტი, 1871 წ. აშენებული. სვეტის გულში აღმოჩნდა 6 კილოგრამი დინამიტი.

გერმანიის წინააღმდეგობა.

ლონდონი. 9/4 (რადიო. საფრანგეთის სენატის სხდომაზე ს. მხედრო მინისტრმა ბარტუმ განაცხადა, რომ გერმანია კვლავ ჯიუტობს თავის პასიურ წინააღმდეგობის პოლიტიკით. ამის გამო შესაძლებელია გერმანიის შუაგულისკენ საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების წაწევა.

საზიზღარი გეგმა.

მოსკოვი. 9 აპრ. გერმანიის ხელისუფალთ აზრად აქვთ საფრანგეთის დასაკმაყოფილებლად გაგზავნონ საფრანგეთში 150 ტყვე, რომელიც წაიყვანეს იმპერიალისტურ ომის დროს და წითელ არმიელები, საფრანგეთის აოხრებულ ადგილებში სამუშაოდ. გერმანიის ბურჟუაზია ვერ მოესწრება რუსეთის მუშების და გლეხების დამონავებას.

ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა.

მოსკოვი. 9 აპრ. (რადიო). ინგლისში გაფიცული მემაღაროენი პოლიციაძალით ხელს უშლიან შტრეიხბრეიხერებს [illegible], რომელნიც მაღაროებში სამუშაოდ წავიდნენ. ლონდონის სამთო ინსტიტუტის სტუდენტებმა ინგლისის მთავრობას თავისი დახმარება აღუთქვეს—შესცვალონ გაფიცულნი.

ინგლისის მუშები.

ლონდონი. ინგლისის მაღაროებში მომუშავეებმა ინგლისის მთავრობას წარუყენეს მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნილებათა. მდგომარეობა იმდენათ სერიოზული შეიქმნა, რომ ლოიდ ჯორჯმა მოიწვია საგანგებო სხდომა მთავრობის წ[illegible] მო[illegible] და მაღაროებში მო[illegible] მოლაპარაკება უნაყოფ[illegible] აკენ.

სტა[illegible]

[illegible] ადიო). [illegible] ბოლში [illegible] გამოქვეყნების სასწრაფოთ ეწერებიან საბჭოთა რუსეთში წასასვლელათ.

ქრონიკა

წიგნთ-საცავის [illegible]. წიგნთ-საცავების და ბიბლიოგრაფიის მუშათა კავშირი აუწყებს თავის წევრებს, რომ ცნობები კავშირის საქმეების შესახებ მიიღება ყოველ დღე 2—3 საათამდე, მუშათა სასახლე, ოთახი № 59.

◆ **პენსიების მიღება.** ქალაქის განყოფილება აძლევს პენსიებს და შემწეობებს ძველი წესის თანახმათ.

◆ **უცხოეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაცია.** თფილისის ქალაქის რევკომის მმართველობის განყოფილება აცხადებს საყოველთაოთ შემდეგს: 1) უცხოეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაციის ვადა გადადებულ იქნა შაბათამდე, 9 აპრილამდე. 2) სპარსეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაციის ვადისა და ადგილის შესახებ განყოფილება განსაკუთრებულათ გამოაცხადებს, 3) უცხოეთის ქვეშევრდომნი, რომელნიც მოდიან თფილისში ან მიდიან თფილისიდან და აგრეთვე ისინი, ვინც იცვლიან მისამართებს, მოვალენი არიან სარეგისტრაციოთ მივიდნენ ქალაქის რევკომის მმართველობის განყოფილებაში.

◆ **სკოლის გარეშე განათლება.** სახალხო განათლების განყოფილება შეუდგა სკოლის გარეშე განათლების გეგმების პრაქტიკულად განხორციელებას. პედაგოგიური პერსონალის მოსამზადებლად იხსნება მოკლევადიანი კურსები. პირველ რიგში პედაგოგები გაიგზავნებიან საბჭოთა სახალხო სკოლაში.

◆ **წყალსადენი.** უკანასკნელ 2—3 დღის განმავლობაში ქალაქის წყალსადენი ყიდის უფრო ცოტა ვედრო წყალს. ამის მიზეზია მეტის მეტად მღვრიე წყალი, რომელიც მტკვრიდან გროვდება წყალსადენის გასაწმენდად აუზებში ზაბის უქონლობისა გამო მღვრიე წყლის გაწმენდა სასწრაფოთ შეუძლებელი ხდება. გარდა ამისა მღვრიე წყალი ალაფიანებს საქაჩავის სარქველს და ამიტომ ხშირად საჭირო ხდება მათი გამოცვლა, რაც თავის მხრივ იწვევს მანქანების გაჩერებას. მიუხედავად ამისა ქალაქის წყალსადენი ყოველ დღიურად იძლევა 1.100.000 ვედროზე მეტს წყალსა.

◆ **არტისტ შათირიშვილის დასაფლავების გამო.** საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევკომმა დამსახურებულ არტისტ-რეჟისორის კოტე შათირიშვილის დასაფლავებისთვის გადასდო 300.000 მანეთი.

◆ **ავღანთა მისია.** ბათომი. ტრაპიზონსა და ანგორაში წამავალ ავღანთა მისიას აცილებს მეჯლისის თავმჯდომარე.

◆ **შაქრის ფხვნილი.** რკ. გზ. გამგეობას ატყობინებენ, რომ გადატრიალების წინა დღით თფილისში ქალაქის სასურსათო კომიტეტის სახელზე მოიტანეს 11 ვაგონი შაქრის ფხვნილი. ნაწილი ამ ვაგონებისა გატანილ იქმნა სამტრედიაში და იქ დაიჭირეს, მხოლოდ ნაწილი ბათომში გაუტანიათ. თბილისში დარჩა სულ 452 ტომარა შაქარი, წონით 3,754 ფუთი, რომელიც გადაეცა სასურსათო კომისარიატს. განკარგულებაა გაცემული დაკავებული შაქარი თბილისში გამოგზავნონ.

◆ **პირდაპირი მიმოსვლა ბათომ-თბილის შორის.** საქართველოს რკინის გზების სახალხო კომისრის მოადგილე გრიუცკი დეპეშით ატყობინებს საქართველოს რევკომის თავმჯდ. ამხ. მახარაძეს: დღეს 6 აპრილს 19 საათ. [illegible] მდინ. რიონზე, რომელიც არის [illegible] მის რაიონში საჯავახო-სამტრედიის შუა [illegible] მატარებელთა მიმოსვლისათვის. ვხსნი პირდაპირ [illegible] ბათომ-თბილისს შორის. [illegible] ნაძეს და მის თანამშრომლებს, აგრეთვე შრომის ლაშქრულ[illegible] და [illegible] რკინის გზის ბრიგადის წევრებს [illegible] სახით მადლობას უცხადებ ნაყოფიერი მუშაობისათვის. მიუხედავათ მძიმე პირობებისა ხიდი აღდგენილ იქმნა 7 დღეში.

— **საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის** მოსამსახურენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ, რომ 10 აპრილს [illegible] გარდაიცვალა ობსერვატორიის [illegible] ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი. გასვენება 12 აპრილს დილის 9 საათზე, საკუთარ ბინიდან ელექტრის შენობა, [illegible] თბილ. სადგურზე, დასაკრძალავად [illegible] გურიის მხარე.

◆ **ამერიკის კომიტეტი.** ამერიკის დამხმარე კომიტეტის მთავარმა დირექტორმა იარსუმ 7 აპრილს ბათომიდან ტფილისში ჩამოიტანა 3 ვაგონი სურსათი, მედიკამენტი და ტანისამოსი, 2 ვაგონი იგზავნება სომხეთში კომიტეტის ბავშვთა თავშესაფარებისთვის, ხოლო მე 3 დანიშნულია ტფილისის ღარიბ ხალხისთვის დასარიგებლათ.

◆ **სასოფლო მეურნეობის სპეციალისტების და ტეხნიკების აღრიცხვა.** მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა აპრილის 4—2 საქართველოს ს. ს. რ. ყველა სამაზრო და საქალაქო რევკომებს გაუგზავნა ცირკულიარული განკარგულება, მოახდინონ რეგისტრაცია და აღრიცხვა მცირე, საშუალო და უმაღლესი სასოფლო სამეურნეო განათლების მქონე ყველა სპეციალისტებისა და ტეხნიკებისა. რეგისტრაცია უნდა დამთავრდეს ერთ კვირაში.

◆ **სახალხო მატარებლის მიმოსვლა ბაქო-ბათომ შორის.** 11 აპრილიდან განზრახულია სახალხო მატარებლის პირდაპირი მიმოსვლის დაწყება ბათომ-ბაქოს შორის.

◆ **უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის განცხადება.** საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დადგენილების თანახმად, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის უმაღლესი რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე ი. ტალახაძის და წევრების რუბენის და კოტლიარენკოს შემადგენლობით, დღევანდელ რიცხვიდან შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, რაიც ეცნობება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სამოსამართლო-საგამომძიებლო და ადმინისტრატიულ დამსჯელ ორგანოებს. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის უმაღლესი რევოლიუციონური ტრიბუნალი მოთავსებულია სამოსამართლო დაწესებულებათა შენობებში.

◆ **ნავთის გადმოქაჩვა ბაქოდან საქართველოში.** ნავთ სადენის გახსნის დღიდან საქართველოში გადმოქაჩულია ნავთი 500,000 ფუთზე მეტი.

◆ **წითელ დაფაზე.** ახალციხის რევკომის დადგენილებით თბილისში სახალხო სასურსათო კომისარიატის მისამართით ყოველ დღე იგზავნება 2,000 ფუთი კარტოფილი. აპირობენ 50 ათასამდე ფუთი კარტოფილის გამოგზავნას.

ეკონომიური ცხოვრება.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

ყველა მეაბრეშუმესათვის ცხადია, რომ აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიღოთ, როცა თვითონ თესლიც კარგი თვისებისაა. ამისათვის მეაბრეშუმეს უმთავრეს მიზანს შეადგენს სალი თესლის შეძენა-მიპოვება. ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს საქმე რიგიანად არ არის დაყენებული. ამისი მოწყობა-მოგვარება შეადგენს უმთავრეს მოვალეობას, როგორც მთავრობის სპეციალურ დაწესებულების, ისე საზოგადოებრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და კოოპერატივებისას. დღევანდელ პირობებში სასურველია ჩვენმა მეაბრეშუმეებმა მიაქციონ ყურადღება შემდეგს:

ა) უმთავრესი ნიშანი ჭიის თესლის კარგი თვისებისა ის არის, როცა მასში სრულიად არაა ავადმყოფობა პებრინა, რომელიც ძლიერ მავნებელია აბრეშუმისათვის.

ბ) ავადმყოფობის შემჩნევა თესლში მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება.

რადგან ჩვეულებრივ მეაბრეშუმესათვის მიკროსკოპის ხმარება ხელ-მიუწდომელია, ამისათვის **თბილისის სააბრეშუმო სადგურს** დაევალა მთავრობის მიერ შემოტანილ **თესლის მიკროსკოპით გამოკვლევა-შემოწმება.** სადგური იმის მიხედვით, თუ რა თვისებისაა შემოწმებული თესლი, ყოფს მას ორ ხარისხად და ახვევს სხვა და სხვა ფერის ბანდეროლს.

ა) **პირველი ხარისხის თესლი** ის არის, რომელშიაც სრულიად არაა **პებრინის ავადმყოფობის ნასახი.** ამისთანა თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს **თეთრი ბანდეროლი** ზედ წარწერით „უპებრინოა“ და დაბეჭდილია ლუქით.

ბ) მეორე ხარისხის თესლი, თუმცა არა პებრინიანია, მაგრამ ჭიის გამოკვებას და პარკის მოსავალს ისე არ აძლევს. ასეთ თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს ლურჯი ბანდეროლი ზედ წარწერით „სამრეწველოა“ და ისიც დაბეჭდილია ლუქით.

გ) პარკის კარგი მოსავლის მისაღებად საკმარისი არ არის მარტო სალი თესლის შეძენა, საჭიროა კიდევ შემდეგი პირობების შესრულება:

ა) **თესლი უნდა შეიძინოს მეაბრეშუმემ თავის დროზე—მარტში და აპრილში,** ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს აპრილის ბოლოსა. წელს, მაგალითად, თესლის შეძენა არ უნდა გადასცილდეს პირველ მაისს და მთავრობის ახალი დადგენილებით თესლით ვაჭრობა აღნიშნულ დროის შემდეგ აკრძალულია.

ბ) მეაბრეშუმემ უნდა შეიძინოს მხოლოდ **იმდენი თესლი, რამდენისათვისაც მას ექნება საყოფი თუთის** (ბჟოლის) **ფოთოლი და საჭიე სახლი.**

გ) ექვს ან შვიდ მისხლიან კოლოფ თესლიდან გამოყვანილ ჭიების გამოსაკვებად საჭიროა 40 დიდი ანუ 60—80 საშუალო სიდიდის ხე და საჭიე სახლი, რომელშიაც დაახლოვებით თავსდებოდეს 276—322 კუბიკური არშინი ჰაერი.

დ) მეაბრეშუმემ კარგათ უნდა იცოდეს, რომ თუ მას აქვს საყოფი ფოთოლი და საჭიე სახლი მარტო ერთი კოლოფ თესლის ჭიისათვის და ის კი ორ ან სამ კოლოფ თესლს აიღებს, ამით ის ვერაფერს მოიგებს, ხშირათ შრომა ტყუილა ჩაუვლის. ასეთ შემთხვევაში მეაბრეშუმეს ან სულ უფუჭდება მოსავალი, ან პარკი უფრო ცუდი თვისების გამოვა და ჭიებს ავადმყოფობაც უფრო ადვილათ გაუჩნდება და სხვა.

ე) **ერთსა და იმავე საჭიე სახლში არ შეიძლება გამოყვანა—გამოკვება ჭიების, ორი სხვადასხვა ხარისხის და და ფირმის თესლიდან,** რადგანაც თუ ერთ კოლოფში საეჭვო თესლია და ჭიებიც სნეულია (საქართველოში ხშირად მეაბრეშუმეები ერთსა და იმავე სახლში იჩენენ, როგორც გამოწერილ ისე შინაური ორ მოსავლიან თესლიდან გამოყვანილ ჭიებს, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში რაიმე გადამდები სენი სჭირს ავადმყოფობა მეორე სალი თესლის ჭიებსაც გადაედება.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი **ი. ქუთათელაძე.**

თუ მეაბრეშუმე მოისურვებს აუცილებლად შინაურ თესლის გამოყვანას, იმ შემთხვევაში საჭიროა, ვიდრე ჭია გამოვიდოდეს, თესლის ნიმუში (დაახლოებით 100 მარცვალი) გადაიგზავნოს ტფილისის ან ქუთაისის სააბრეშუმო სადგურში, რომელიც შეამოწმებს უფასოდ და სასწრაფოდ აცნობებს პატრონს სალი თესლი თუ არის.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი **ი. ქუთათელაძე.**

მუშათა ცხოვრება

თბილი.

[illegible] აპრილს 1921 წ. დილის 11 საათ[illegible] თვითმართველობის დარბაზში შედგა **მიწისა და ტყის** მომუშავეთა დელეგატების კრება. დაესწრო 120 დელეგატზე მეტი. კრების თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. ჩადუნელი, მდივნათ ხუბუტია. გამოცხადებული იყო შემდეგი დღიური წესრიგი:

1) მოხსენება მიწა და ტყის კავშირის საორგანიზაციო კომისიის თავის მოქმედების შესახებ.

2) არჩევნები კავშირის დროებითი (სამი თვით) გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

მოხსენება საორგანიზაციო კომისიის მოქმედებაზე გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ანდრონიკაშვილმა. როგორც მოხსენებიდან გაირკვა, კომისიას მოუწყვია ქ. თბილისის ფარგლებში 15-ზე მეტი საწარმო [illegible] სადაც აურჩევიათ [illegible] ელები კი თუ [illegible] ალებდნენ მთელ [illegible]. მოწყობილია [illegible] ათ ის, დაუზოგავა აგრეთვე პროვინციელა წინადადებებშიც (მაგ. [illegible]

ყურადღება საორგანიზაციო კომისიას მიუქცევია მუშათა ბოსტნის მოწყობაზე. რისთვისაც დაარსებულა ცალკე კომისია და გადაუდგამთ კიდევაც ზოგიერთი რეალური ნაბიჯები. კომისიასთან დაარსებულა აგრეთვე შრომის დამხმარე ქვეკომისიაც. საერთოდ, საორგანიზაციო კომისიას უწარმოებია შეძლების და გვარად მრავალი კულტურულ ორგანიზაციული მუშაობა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება მიწა და ტყის კავშირის საორგანიზაციო კომისიის მოქმედებაზე, კრება ღებულობს მას ცნობათ და გადადის მორიგ კითხვაზე. რაც შეეხება მუშათა ბოსტნის მოწყობას, კრება ესალმება საორგანიზაციო კომისიის დაწყებას და გამოსთქვამს სურვილს საქმის გაორკეცებული ენერგიით წარმოებისა და გაფართოებისა, რათა როგორც მუშა მოსამსახურეებს, ისე სხვა მცხოვრებლებთაც მიეცეთ საშვალება იაფი და კარგი ხარისხის ბოსტნეულობის მიღებისა“.

შემდეგ კრება შეუდგა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევას

არჩეული იქმნა **მთავარ გამგეობაში** შემდეგი ამხანაგები:

1) ანდრონიკაშვილი, 2) რცხილაძე გიორგი, 3) დ. ჩადუნელი, 4) სვანაძე, 5) ფანცხავა, 6) ხუბუტია, 7) ნადარეიშვილი, 8) ნ. ბრეგვაძე, 9) მაჩაიძე, 10) საფაროვი, 11) ასათიანი, 12) ვ. რცხილაძე, 13) ლ. ბრეგვაძე, 14) ბოროზდინი, 15) ბარამიძე, 16) ბუაჩიძე, 17) მადატოვი, 18) ავაკიანი, 19) აზარიაშვილი, 20) ბოჯგუა, 21) ტოჩილინი.

კანდიდატებათ: 1) იულონ ლომაური, 2) სიპაშვილი და 3) ჯალალონია.

სარევიზიო კომისიაში: 1) კალანდაძე, 2) მევენცევი, 3) კარცელაშვილი, 4) ფრუიძე და 5) კანდელაკი.

კანდიდატებათ: 1) ჩიქოვანი, 2) ტაბუკაშვილი და 3) კლდიაშვილი.

თავმჯდომარე **ჩადუნელი.** მდივანი **ა. ხუბუტია.**

პროვინციის ცხოვრება

ახალგორი.

8 აპრილი 1921 წელი. სოფელ ახალგორის მცხოვრებლების სახალხო მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება ამხ. შაქრო ფარუმოვის და ალ. ბედუკაძის, აღფრთოვანებული მთელი საქართველოს განთავისუფლებით, მუშების და გლეხების გამარჯვებით, დაადგინა: მიესალმოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევკომს, საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ბელადებს ამხანაგ ლენინს და ტროცკის, საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და დუშეთის სამაზრო რევკომს. მიტინგი დარწმუნებულია, რომ კაპიტალის ბატონობა მალე დაემხობა და მთელ ძალა-უფლებას ყველგან აიღებს მშრომელი ხალხი, რომელიც დაამყარებს ძმობა-ერთობას და თანასწორობას. მიტინგი ფიცსა სდებს, რომ როგორც წინეთ ახალგორი და მისი რაიონი ყოფილა რევოლიუციონური მებრძოლი—დღესაც ხელი-ხელ ჩაკიდებული პირველ რიგში იქნება ყველა თავის უფლებისთვის მებრძოლ მშრომელ ხალხთან. გაუმარჯოს საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკას! სალამი წითელ არმიას! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს! გაუმარჯოს სოციალიზმს!

მიტინგის თავმჯდომარე **გიორგი ხოცუაშვილი.** მდივანი **მზარეულოვი.**

კოჯორი. არც ერთი მხარე არ არის ისე ჩამორჩენილი და უყურადღებოთ დატოვებული, როგორც კოჯორი. არავითარი კულტურული და პოლიტიკური შეგნება არ არსებობს კოჯორის მცხოვრებლებში. ეს მეორე წელიწადია რაც ჩვენი ამხანაგების დახმარებით დაარსდა კოჯორის დარაჯთა პროფესიონალური კავშირი, მაგრამ რადგანაც ჩვენს პარტიულ ამხანაგებს არ შეეძლოთ ლეგალურათ მუშაობა კავშირში და ყოველთვის დევნილი იყვნენ, ასეთი პირობები ძალიან ხელს უშლიდა და აფერხებდა კავშირის ნაყოფიერ მუშაობას და გაფართოებას. ამას უნდა დაუმატოთ ის მდგომარეობა, რომ კოჯორის მუშები პოლიტიკურათ ძალიან ჩამორჩენილები არიან და ვერ შესძლეს რომ სწორი ეკონომიური ბრძოლა ეწარმოებინათ მოწინააღმდეგებთან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ პატარა გამარჯვებას, რომელიც მათ მოიპოვეს, ამ ექვსი თვის წინეთ. რა თქმა უნდა მეტი შეიძლებოდა მოეპოვებინათ კოჯორის მუშებს, მაგრამ სასტიკი ბრძოლა უნდა ეწარმოებინათ იმ შექმნილ ჯოჯოხეთურ პირობებთან, როგორიც იყო კოჯორში, რის გამოც ყოველთვის ჩამორჩენილები იყვნენ. მიუხედავათ ამნაირ პირობებისა მუშები მაინც განაგრძობდენ ბრძოლას.

3 მარტს შესდგა საერთო კრება კოჯორის დარაჯთა პროფესიონალური კავშირის და ქალაქ კოჯორის ყველა მცხოვრებლების, სადაც იქნა გარჩეული შემდეგი კითხვები.

1) კავშირის ახალ გამგეობის წევრების არჩევნები, 2) დარაჯების შეიარაღება, 3) მიწის და თესვის საკითხი, 4) ბრძოლა ქურდებთან და ჯაშუშებთან 5) წითელ ლაშქარში მონაწილეობის მიღება, 6) სურსათი, 7) მოხსენება მომენტზე.

ყველა ზემო მოხსენებულ კითხვების შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხანაგი ნესტორ კორინთელი, ვრცლათ უხსნის მენშევიკების ღალატს მათ ორპირულ პოლიტიკას რომელსაც მენშევიკები ყოველთვის ატარებდნენ ცხოვრებაში მათი დამარცხების მიზეზს, ვინ არიან მენშევიკები, ვისთან იყვნენ და ვისთან გაიქცნენ. კორინთელის მოხსენებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია ხალხში და მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ქალაქ კოჯორის რაიონის მცხოვრებნი უძღვნიან, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა მთავრობას მხურვალე სალამს, აგრეთვე ესალმება საქართველოს კომუნისტურ პარტიას და სახალხო ლაშქრის სახით მთელ რევოლიუციონურ მუშა გლეხკაცობის საბჭოთა რუსეთისას ყველა დაჩაგრულთა განმათავისუფლებელს. და გამოსთქვამს იმედს, რომ რევოლიუციის ნაპერწკლები, მოვარდება ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, რომ ელვარე ცეცხლის ანახვაზედ დაამტვრევენ ბორკილებს ევროპის მუშები და გაინთავისუფლებენ თავებს მცარცველ კაპიტალისტებისაგან.

ქალაქ კოჯორის მცხოვრებლები ფიცსა სდებენ იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ ყველა იმ ნაძირალა ელემენტებს, რომლებიც შეეცდებიან გამოსტაცონ მუშებს და გლეხებს ხელიდგან წითელი დროშა.

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას, გაუმარჯოს მე-3-მე ინტერნაციონალს, მის დიდ სარდალს მსოფლიო რევოლიუციის ბელადს ამხ. ლენინს!

წვკელი.

ფოსტა

საქართველოს კ. პარტიის თბილისის კომიტეტს, ის სარაიონო ბიუროებს რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ.

საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში. მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

პროფესიონალურ კავშირებს. მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

— **დღეს,** ოთხშაბათს 13 აპრილს, საღამოს 6 ს. მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პრ.) ამხ. გ. ა. მჟავანაძე წაიკითხავს მოხსენებას „კარლ მარქსი და პროფესიონალური კავშირები“. მოხსენების შემდეგ დანიშნული იქნება კამათი. შესვლა უფასოა. პროფ. კავშირების წევრებს მოუწოდებთ უსათუოდ დაესწრონ.

— **საქართველოს** პ. კ. პ. თფ. კომ. არსებული მეშ. ბიუროატყობინებს ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს რომ 16 აპრილისათვის ამა 1921 წ. აუის დანიშნული შაბათობა.

ყველა ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა, უნდა გამოცხადდენ სხდომაზე რომელიც შესდგება ოთხშაბათს, 13 აპრილს, საღამოს 5 ს. კომუნალურ მეურნეობის შენობაში. მდივნის ოთახში (ყოფილი ქალაქის მმართველობა).

ყოველგვარ ცნობებისათვის შეუძლიათ მიმართონ მეშაბათეების ბიუროში (რუსთაველის პრ. № 22, მე-3 სართული).

მდივანი თ. კ. **ლ. კანდელაკი.**

ორგანიზატორ-ინსტრუქტორი მეშაბათეობის **ე. გრანიკი.**

— **სტატისტიკოსთა კრება.** ოთხშაბათს 13 აპრილს საღ. 5 ს. ცენტრალ სასტატისტიკო სამმართველოს დარბაზში შესდგება ქ. ტფილისის სასტატისტიკო ორგანიზაციებში ყველა მომუშავეთა საერთო კრება, სტატისტიკოსთა კავშირის დაარსების შესახებ (ბროსეს ქ. № 4)

სტატისტიკოსთა რეგისტრაცია გაგრძელებულია 18 აპრილამდე. (ბროსეს ქუჩა № 4)

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 15—74.

— **1-ლი რაიონის ბიურო**—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— **მე-2-რე რაიონის ბიურო**—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— **მე-3-მე რაიონის ბიურო**—ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— **მე-4-ე რაიონის ბიურო**—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

ცირკულიარულათ.

საქარ. კო. ახალგ. კავშირის ყველა ორგანიზაციებს.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენ. კომიტეტის დადგენილებით 15 აპრილს ქ. თბილისში მოწვეულია ცენ. კომიტეტის პლენუმის და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების კრება. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) მიმდინარე მომენტი.
2) კავშირის მიზნები საბჭ. რესპუბლიკაში.
3) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.
4) კავშირის აღმშენებლობის მორიგი მიზნები.
5) პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა.
6) ეკონომიურ-უფლებრივი მუშაობა.
7) სამხედრო-სავარჯიშო მუშაობა.
8) ორგანიზაციული კითხვა.
9) მიმდინარე კითხვები.

კრებაზე გზავნის თითო წარმომადგენლებს ყველა საოლქო, სამაზრო და ქალაქის კომიტეტი. საჭიროა ამხანაგებმა არ დაიგვიანონ და დროზე მოვიდნენ, რომ არ შეაფერხონ კავშირის მუშაობა.

ცენტრ. კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ამასი.

გაზ. „კომუნისტი“-ს

მიღება შეიძლება [illegible] ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. №11).